ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 1028

დამატების № 181

კვირა, 27 ოქტომბერი 1913 წ.

უნიადაგონი

პიესა 4 მოქმედებად.
(დასასრული *)

რ უ ს ი ა.

რუს. (შემოდის პენუარში, გამხდარი, ავადმყოფი სახე).

ალ. (კარებთან მიეგებება) ამდგარხარ კიდეც!

რუს. არც დავწოლილვარ... ფანჯარასთან ვიჯექ...

ალ. (შუბლზე ჰკოცნის) მადლობა ღმერთს, სიცხე აღარ გაქვს... მაგრამ ეგ სეირნობა მაინც არ გარგებს...

ელ. (მივა და ჰკოცნის) როგორა ხარ, ჩემო გოგონა?

რუს. როგორ უნდა ვიყო?.. დედამ დამტოვა... ზურაც გაიქცა... მარტო მამა-ღა დარჩა ჩემთან... (მამას გულზე თავით მიეყრდნობა).

ალ. ნუ გეშინიან, ჩემო პატარავ... დედა ისევ მალე დაბრუნდება, ზურაც...

რუს. (მამას თვალებში შეხედავს და უიმედოთ ხელს ჩაიქნევს) ეჰ!..

ელ. (ხელს მოჰხვევს, სავარძელში ჩასვამს და გვერდით მიუჯდება) მოდი, აქ დავსხდეთ და მე და შენ ვიჭუკჭუკოთ!.. არავინ არ გაქცეულა და არც არავის მიუტოვებიხარ... ყველანი მოელენ...

რუს. (თვალებში მისჩერებია და მწარედ ჩაიცინებს. დიდი უხერხული პაუზა) დეიდა, დედას უყვარს განა?..

ელ. უყვარს... თავისი რუსია და ზურა...

რუს. ჰმ... არც ისე ბავშვი ვარ, როგორც თქვენა ფიქრობთ... აი, მამაც მეუბნება არავინ უყვარს, მაგრამ... ეჰ, ღმერთმა კარგად ამყოფოს..



† ა. ქალანთარი.

ელ. რუსია, აბა, როგორ არა გრცხვენიან დედაშენზე ასეთი იქვის შეტანა?..

ალ. გარწმუნებ, ჩემო კარგო, რომ დედაშენს თქვენის მეტი არავინ არ უყვარს... აბა ეს რა ფიქრები მოგდის თავში?!..

რუს. (ბოლმა აწვიმა) წავალ ბაღში, გავისეირნებ...

ალ. გენაცვალოს მამა, როგორ იქნება ეხლა ბაღში სეირნობა? რომ დაიცალო, ან შეგცივდეს?..

რუს. სული მეხუთება... ოთახში ვერა ვძლებ... ჰაერი არა მყოფნის... არა მიშავს რა. მამავ... ნება მომეცი...

ელ. მაშ კარგი, მეც გამოგყვები...

რუს. არა... არ მინდა!.. მარტო მინდა ვიყო...

ელ. შენი ნებაა!..

ალ. გადია მაინც წაიყვანე...

რუს. გადია კი შეიძლება... გინდ ისაყოფილა, გინდ არავინ... სულ ერთია...

ალ. (კარებ'ში ეძახის) გადია!..

რუს. ძალიან კი მინდოდა დედას ნახვა...

ელ. რუსიას მზემ, სულ ერთი საათი არ გაივლის,—დედაშენი და ზურაც აქ იქნებიან...

რუს. მამა, აქ მოდი!..

ალ. (მივა მასთან) აქა ვარ, შვილო.

რუს. აბა, თვალებში შემომხედე...

ალ. (სავარძელთან დაიჩოქებს) აჰა, ესეც შემოგხედე.

რუს. იქნება შენ არ აძლევ ნებას დედა დაბრუნდეს?..

ალ. (პირს მიიბრუნებს).

რუს. არა გრცხვენიან, მამავ?.. ასეთი სასტიკი რომ არ იყავი!.. შენ ჩემი კარგი მამა ხარ!.. ხომ ნებას მისცემ დედას მოვიდეს, მერე თუ სურს ისევ წავიდეს... (ცრემლები ერევა და ელენეს გულზე თავით მიეყრდნობა. ელენე თავზე ჰკოცნის).

ალ. (აღელვებული ადგა).

შემოდის **გადია.**

ალ. გადია, მოუტა რუსიას რამე თბილი ჩასაცმელი და ბაღში გაასეირნე... (გადია მეორე ოთახში შედის).

რუსია. დეიდა... ჩემო დეიდა... (გულზე მიყრდნობილი ტირის).

ელ. რუსია, ჩემო ძვირფასო... დამშვიდდი, აბა რა გატირებს?

ალ. (უალერსებს) რუსია, შვილო... დაწყნარდი, გული დაიმშვიდე... ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა... აი, ეხლავ დეიდა ელენე წავა და მოიყვანს...

ელ. ეხლავე, შენმა გაზრდამ... ეხლავ აქ გავჩნდებით.

შემოდის **გადია** (ხელში ჩასაცმელით).

გადია. რაო, რათა სტირის ჩემი ქალბატონი?.. მოუკვდეს მაგას გამდელი... წამოდი, გენაცვალე, გაისეირნე, გული გადაიყოლე... (აცმევს).

რუს. (ელენეს მოეხვევა და დიდხანს ჰკოცნის) მშვიდობით, დეიდა... დედას და ზურას აკოცე... გრიშას მოკითხვა. წავიდეთ გადია!..

ალ. დიდ ხანს ნუ დარჩებით, არ დაიღალო... (ხელს მოჰხვევს და კარებამდე მიაცილებს, მერე იქვე სავარძელში ჩაეშვება და ხელებით სახეს დაიფარავს. დიდი პაუზა) „იყო ოჯახი, სუფევდა სიმშვიდე და სიყვარული, ამოვარდა ქარიშხალი, მოსკდა ნიაღვარი და ყველაფერი წალეკა“... ასე ამბობს დარბეული ებრაელი, რომელსაც სულის მეტი აღარაფერი შეარჩინეს... (პაუზა. ამოიოხრა და ოთახში გაიარა). ღმერთო ჩემო, რა აფთარი, რა აშარი უნდა იყოს ის დედა, რომელიც თავის შვილს ამ ღღეში ჩააგდებს!?..

ელ. შენა გგონია რუსიამ ყველაფერი იცის?

*) იხ. სურათებიანი დამატება № 180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. განა ვერ ატყობ ლაპარაკზე?

ელ. როდის გაიგო?

ალ. იმ დღეს, რა დღესაც მე.

ელ. მერე, რანაირად?

ალ. როცა ის შუბლ-გარეცხილი აქ თავის საყვარელს კისერზე ეხვეოდა, რუსია, თურმე, კარებთან იდგა და ყველაფერს ხედავდა. მერე ჩვენ შორის ლაპარაკი სიტყვა სიტყვით ესმოდა... როგორ მოგწონს? ხომ არც ერთ რომანში არ წაგიკითხავს ასეთი შემაძრწუნებელი ამბავი?!.. დედა თავის შეყვარებულ შვილსართმევს საქმროს!.. მშვენიერებაა!..

ელ. ყოველ შემთხვევაში ეს მოხდა მისდა უნებურად...

ალ. ნუ ესარჩლები! იმან კარგად იცოდა, რომ რუსიას გრიშა უყვარდა... და უყვარდა გაგიჟებით...

ელ. ამაზე ჩვენ ნუ ვილაპარაკებთ... ამის მსაჯულნი სხვანი გამოჩნდებიან... შენ ეს მითხარი—რა პასუხს მაძლევ?

ალ. კარგი, მოვიდეს!.. მაგრამ იცოდე, მხოლოდ რუსიას ხათრით...

ელ. ჰო, კარგი, ვიცი.

ალ. მე შინ არ ვიქნები... ნახოს თუ არა, იმ წუთშივე წავიდეს აქედან... აქ აღარ დამიხვდეს... ხვალვე სადმე სხვა ქალაქში წავიყვან რუსიას... იქნება ცოტათი მაინც გავართო...

ელ. ვითომ რა დაშავდება, რომ შინ დაუხვდე? შენს კაბინეთში დაჯექ და პირისპირ ნუ შეხვდები.

ალ. შენ იცი, რაც დავთმე—ვისი ხათრით დავთმე... შეუძლებელს ნუღარა მთხოვ...

ელ. კარგი, აღარ აგიხირდები... ნახვამდის!

ალ. გთხოვ, შენც თან მოჰყევ... რუსიას ყური უგდე... თქვენს მოსვლამდე მეც შინ ვიქნები... ჯერჯერობით მაინც საიდუმლოთ შეინახეთ ჩემი შერცხვენა... ნურავის ეტყვით... მერე ვნახოთ, რა იქნება...

ელ. განა ჯერ ჩვენს მეტმა არავინ იცის?

ალ. როგორცა ჰხედავ... არ ვიცი კი, სანამდის უნდა ვატაროთ ნიღაბი... (კარებამდე მიაცილებს).

საქართველოს ახალი ეგზარხოსი **ალექსი.**

შემოდიან **პავლე** და **ნესტორ.**

ნესტ. აჰა, მოგიყვანე სამძიმ ოჯახში... აღარც ახლა მომშორდები?..

ელ. ააა! მადლობა ღმერთს!.. ძლივს! ყველაფერს მოვიფიქრებდი და თუ თქვენი ნახვა მომენატრებოდა—აღარ მეგონა... (ერთმანეთს ხელს ართმევენ, ელენეს ხელზე ჰკოცნიან).

ნესტ. ასე იცის, ბატონო, სიყვარულმა...

ელ. (ნესტორს თავში ჩაჰკრავს) ისე გაგიხმება ეგ თავი...

ნესტ. (პავლეზე აჩვენებს) თავი ამისმა ყურებამ გამიხმო.

პავ. შენ თავიც გამხმარი გაქვს და კუჭიც...

ნესტ. შენ გამხმარი კუჭი დედის მუცლიდან დაგყვა, და მე-კი, შენ რომ გამიჩნდი—მერე ჩამოვხმი ასე...

ელ. რატომ, შე უბედურო, რა დაგიშავა?

ნესტ. დამდევს მშიერი ძაღლივით კუდში... რაც ვიშოვნე, მაგან შეჭამა—მე დავრჩი მშიერი... ღონით ვერ მოვერიე და ჭკუა მაგას არ აქვს... ღმერთმა შემარცხვინოს, მთელ საქართველოს რომ კალია მეედვას, თუ იმდენი ზარალი მოუტანოს ქვეყანას, რამდენიც მაგას მოაქვს...

ალ. რატომ, შე კაცო, რა დააშავა ისეთი?

ნესტ. შეგვჭამა. ბატონო, მთელი საქართველო შთანთქა მაგან... ეს რომ კბილის მატლად არ გაგვჩენოდა, ორი მილიონით წინ ვიქნებოდით.

პავ. ვისი რა შევჭამე, შე მასხარავ?

ნესტ. რა ველარ მოგიშორეთ თავიდან! შე ოჯახ დაქცეულო, რამ შეგაძულა ი უნივერსიტეტი, ჰირივით რომ გაურბი... როგორც-კი თვალს მოჰკრავს წითელ ქაღალდს კალენდარში,—მორბის სახლში... მარტო გზის ფულმა გააღარიბა საწყალი მაგის მამა.

პავ. აქლემი ისე არ დავარდება, ვირის საპალნე არ ასწიოსო..

ნესტ. აქლემი... მე შენ გეტყვი ქარავნები დაგიდის ინდოეთიდან... ერთი მუნიანი ცხენი ჰყავს მამაშენს და იმასაც უკანა ფეხები მომტვრეული აქვს...

ელ. ეს როგორ?

ნესტ. ეზოში რომ დააბამს, ცხენს უკანა ფეხები სხვის ადგილში რჩება... მეზობელიც სცემს... არ უშვებს... (იცინიან).

პავ. რაკი გულიანად გამაცინე, ყველაფერს გაპატიებ.

ელ. ამათ მასხარობაში ისე გავერთე, წასვლაც კი დამავიწყდა... ნახვამდის, ნახვამდის!

პავ. ქ. ელენე! ნესტორიც წაიყვანეთ, მამაშორეთ, თორემ შემომაკვდება!

ნესტ. მე შენ გეტყვი თავს ვერ დაიხსნი მერე შენის მჭერმეტყველებით... უმისოდაც ამღვრეული გაქვს წყალი...

ალ. მაგათი საქმე ძალიან ცუდათ არის...

ელ. როგორ?

ალ. გუბერნატორს შუამდგომლობა აღუძრავს მეფის მოადგილესთან, ყველა უსაქმო სტუდენტები აქედან გადაასახლონ...

ნესტ. სულელი ყოფილა ი გუბერნატორი.

ელ. რატომ?

ნესტ. რა საჭიროა შუამდგომლობა მაგათ მოსაშორებლად? მოიტანოს ერთი ურემი ქვიშა, დაჰყაროს აქა და სთქვას, უნივერსიტეტს ვაშენებო... ისე გადაიკარგებიან აქედან, მაგათ სახელსაც ვერ გაიგონებს. (ყველანი იცინიან).

ელ. მშვიდობით, მშვიდობით! (საჩქაროდ გავარდება).

ალ. ოჰ, შენ დაგწყევლოს ღმერთმა, ნესტორ!.. სხვა, მითხარი ეხლა, სად იყავი!

ნესტ. სოფელში... შემოდგომაა, რთველია...

პავ. გაავსო ბეღლები და ჩამოვიდა.

ნესტ. არა, შენმა მზემ... შენსავით ცარიელები დარჩა... შენგან გამოქცეული თაგვები ჩემსას მოცვივდნენ იმ დღეს...

პავ. რაღა უჭირთ!.. სავსე ოჯახში მისულან!

ალ. პავლე, შენ სადღა იყავი ეს სამი დღე?

ნესტ. ნამესტნიკთან! მოსწყინდა უმაგისოდ და ქაღალდის სათამაშოდ დაიბარა... დარო სახლში ბძანდება?

ალ. არა... რაღაც საყიდლები ჰქონდა და... მაღაზიაში წავიდა.

ნესტ. დილითაც შემოვიარე, არავინ იყავით სახლში.

ალ. მეც საქმე მქონდა... ჰო, მართლა, წელან ნიკო შემხვდა გზაში, ვიღაც მოხელეს უჯდა ეტლში და მიაქანებდა... რაღაც ხელით მანიშნა და ვერაფერი გავიგე.. შენ ხომ არ გინახავს?

ნესტ. არა...

ალ. (კარებში ეძახის) დესპინე! რაღაც წერილს მანიშნებდა მგონი...

შემოდის **დესპინე.**

ალ. დღეს ჩემთან არავინ ყოფილა?

დესპ. ნიკოს ბიჭმა წერილი მოიტანა.

ალ. მერე, სად არის?

დესპ. აქ გახლავთ! (შედის კაბინეტში და წერილს გამოიტანს).

ალ. (გამოართმევს და კონვერტს აკვირდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ. ა. დადიშქელიანის მოკვლის გამო.



თავ. უჩა დადიანი, რომელსაც ბალქის სასამართლო პალატამ 20 წლის კატორღა მიუსაჯა.

მეუღლე მოკლულის თავ. დადიშქელიანისა, რომელსაც ბრალდებოდა მკვლელობაში მონაწილეობის მიღება. სასამართლომ იგი გაამართლა.

ნესტ. რაცხა გლახათ გამკრა გულში მაგ წერილმა... ერთი ჩქარა წაიკითხე, თუ ღმერთი გწამს.

ალ. შენ წადი! (გოგო გადის. კითხულობს. თანდათან სახე ეცვლება. ნესტორ და პავლე მას მისჩერებიან. კითხვას გაათავებს და ნესტორს მიაჩერდება. ნესტორ შეშინებული. სურათი).

ნესტ. კაცო, აღარ იტყვი ახლა, რა გვჭირს?

ალ. წაიკითხე! (წერილს გადასცემს).

ნესტ. (კითხულობს. სახეზე შიში და სასოწარკვეთილება. ალ-რე და პავლე ცალკე ლაპარაკობენ).

ალ. მაფრთხილებენ... ჩემზე ეჭვი შეუტანიათ და გამოძიებაც დაუნიშნავთ... ნესტორის საქმეც გაუგიათ...

პავ. არა, მართლა?

ალ. აი, წაიკითხე! (ღიმილით).

პავ. (დოინჯ შემოყრილი, ირონიულის ღიმილით ნესტორს მისჩერებია) ეხლა რაღას ბძანებთ, ჭკვიანო ბატონო? ჰა? (იცინის).

ნესტ. რას იცინი? აჰა, შენც წაიკითხე და დასტკბი...

პავ. მე რად უნდა წავიკითხო... მე რა მესაქმება?.. თქვენ ისიამოვნეთ!

ნესტ. არა, თქვენც გაატარეთ დროება!.. წაიკითხეთ!

პავ. შენდა სასიამოვნოდ მზადა ვარ... (კითხულობს ალ-რეს პირზე ღიმილი არ შორდება) „ძმაო ალექსანდრე! ვიჩქარი შეგატყობინო. დღეს მორიგი ვიყავი. გუბერნატორი ძალიან გაჯავრებული შემოვიდა კანცელარიაში... მთავარ ბრალმდებელს ტელეფონით დაელაპარაკა, საჩქაროთ დანიშნოს გამოძიება შენზე... მგონი ყველაფერი გაუგია... ვიღაცეებს უჩივლიათ. შენ მოგივა ბრძანება თანამდებობიდან გადადგომისა. კარგი იქნება დაასწრო „ოსტავკა“ და შენს თანაშემწეს გადასცე საქმეები. ამ საქმეში ნესტორიცა და პავლეც გახვეულნი არიან, უფრო-კი ნესტორი... ეს არის ტელეფონით დაელაპარაკა გუბერნატორი პოლიცმეისტერს,—ნესტორ დაპატიმროს, პავლეზე-კი ცნობები შეკრიბოს... მაგრამ ხომ იცი, რა დროა, თავის მართლება არ გაგივა. გააფრთხილე ორივე —თავს უშველონ. შენი... (პაუზა. ერთმანეთს მისჩერებიან და მწარედ იცინიან, პავლე სასოწარკვეთილია.

ნესტ. ახლა რაღას ბძანებთ, წმინდაო პავლე?

პავ. იმ მთავრობას რა ვუთხრა, რომელსაც ჩემი ეშინიან.

ნესტ. მთავრობას პროლეტარის ეშინიან და შენისთანა პროლეტარი, ღმერთმა შემარცხვინოს, თუ ქვეყნად მოიპოვებოდეს... (პატარა სიჩუმე) ეჭვს აიღებენ, მაშ რას იზამენ? არ ვხნავთ, არ ვთესავთ, ჯამაგირი არ გვაქვს და პენსია... ჩაგვიწყვია ჯიბეებში ხელები, დავყიალობთ, ვიცვამთ, ვიხურავთ, ვქეიფობთ და ქალალდს ვთამაშობთ!.. ბრმა კი არ არის მთავრობა!.. (პაუზა. ყველანი ჩაფიქრდებიან) შე ოჯახ დაქცეულო, ეს არის ექვსი ფაკულტეტი გავათავეო? სთქვი რამე—რა ვქნათ?

პავ. ალ-რე, გვირჩიე რამე.

ალ. ქაჩალმა წამალი იცოდეს, თავის თავს უწამლებდა.

ნესტ. მე-კი თავს ვუშველი და თქვენ წყალსა-წყალი ლიხართ. (ქუდს აიღებს და გავარდება).

ალ. მე მაინც ვერ მივმხვდარვარ—შენ რა შუაში ხარ.

პავ. უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო.

ალ. საქმეს გამოიძიებენ, გაგამართლებენ... ჩემი საქმე-კი ცუდათ არის!..

პავ. სანამ საქმეს გამოიძიებდნენ—ციხეში დამალპობენ.

ალ. სიფრთხილეს თავი არა სტკივა... სჯობიან დროზდი თავი მოაშორო.

პავ. წავიდოდი სადმე... მაგრამ...

ალ. ფული არა გაქვს?! აჰა, ათი თუმანი... მეც შენს ტაფაში ვიწვი, თორემ მეტს მოგცემდი.

პავ. გმადლობ... პირველ შემთხვევისათანავე...

ალ. ეჰ, ეგ რა საჭიროა... ჩვენ მუდამ მოვრიგდებით...

პავ. არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა...

ალ. ნუღარ იგვიანებ... მშვიდობით!..

პავ. მშვიდობით! (მიდის და მობრუნდება) მართლა, ზურას შესახებ უნდა მეთქვა...

ალ. რა იყო, მოხდა რამე?

პავ. არა... არაფერი!.. მხოლოდ სასტიკად ნუ მოექცევი... მეტად მგრძნობიარე ყმაწვილია... მეშინიან გული არ გაუტყდეს... შენ იცი, ამას იმიტომ გეუბნები, რომ შენი კარგი ოჯახი მიყვარს და განსაკუთრებით კი—ზურა...

ალ. გმადლობ... ვიცი...

პავ. ცხოვრების ჭუჭყი ჯერ სრულიად არ მოსცხებია.

ალ. დიახ, საუბედუროდ სულ ბავშვია.

პავ. აი, ჩემოდენს რომ გამოცდის, მერე სულ სხვა ჰანგზე დაიწყებს მღერას... თქვენი ბრალი კია.

ალ. ეხლა მეცა ვნანობ, მაგრამ გვიანლაა.

პავ. მშვიდობით!

ალ. მშვიდობით! აჩქარდი!.. წინ არავის შეეხეჩო!.. მოიწერე, სად იქნები, როგორ მოეწყობი... (ერთმანეთს ჰკოცნიან. პავლე მიდის. მობრუნდება).

პავ. სჯობია ამ კარებით გავიდე. (საჭმარეულოსაკენ მიდის. ალ-რე კაბინეტში შედის. დერეფანში ისმის ლაპარაკი).

შემოდიან **რუსია** და **გადია**.

რუსია. კარგი, კარგი, გადია... აკი გეუბნები ეხლა კარგათა ვარ მეთქი... წადი, საქმეს მიხედე...

გადია. აბა, რა გულით მივხედო საქმეს, როცა შენ ასეთ გუნებაზე მყევხარ?!..

ცნობილი ყაჩაღის ზელიმხანის მოკვლა

1) ზელიმხანის ქალი, 2) მისი სიდედრი, 3) მისი ვაჟი, 4) რაზმის უფროსი.

რუს. ღმერთმანი არაფერი მიჭირს... ეხლა გამიარა... აი, ხომ ხედავ—ვიცინი.

გადია. იცინი... კარგი სიცილია, როცა თვალები ცრემლითა გაქვს სავსე...

რუსია. შენ რომ წახვიდოდე, ეს ცრემლებიც შემაშრებოდა... შენ-კი აქ დამდგომიხარ და მანუგეშებ...

გადია. წავალ, მაგრამ მარტო როგორ დაეტოვო?...

რუსია. ღმერთმანი არაფერი მიჭირს... აი, წიგნს ავიღებ და წავიკითხავ თქვენს მოსვლამდი.

გადია. მაშ კარგი, მამას მაინც ვეტყვი, ყური გიგდოს...

რუს. (მოთმინებიდან გამოსული) ااه, ეს ჯიუტი ბებერი! აკი გეუბნები, არაფერი მიჭირს მეთქი...

გადია. ჰო, კარგი შვილო, ნუ გაჯავრდები, გაწყენს... მოგიკვდეს გადია... ااه, მივდივარ... (მიდის კარებთან როცა მივიდა).

რუს. გადია! მოდი, ჩემო მოხუცო!.. ნუ გამიჯავრდები. (გულში ჩაეკვრის და ჰკოცნის).

გადია. არა, განაცვალოს გამდელი... შენ კარგად მყავდე და შენს გამდელს შენი ჭირი წაუღია.

რუს. კარგი, ეხლა წადი (გადია წავიდა. დიდხანს მისჩერებია კარებს) მშვიდობით, ჩემო ტკბილო მოხუცო!.. (უბიდან წერილს ამოიღებს გადაათვალიერებს. დასდებს შუა მაგიდაზე ჩაფიქრდება. აიღებს, გახსნის და გულ-ამოსკვნილი კითხულობს). „სიყვარული დიდა! მშვიდობით! ღმერთმა გაპატიოს... მეც მიპატიებია... ეს ხომ შენი ბრალი არ არის“... (დაკეცავს და უბეში ჩაიდებს. აიღებს დედის სურათს დიდ ხანს მისჩერებია, ჰკოცნის და გულში იკრავს. მერე მივა მამის კაბინეტთან და კარებს ჰკოცხის) მშვიდობით მამავ! შენც დამნაშავე ხარ... მაგრამ მიპატიებია!.. (ოთახს ათვალიერებს და ყველაფერს ეთხოვება. ერთბაშათ თავის ოთახში შევარდება. პაუზა).

შემოდის **ალექსანდრე**, იქვე კარებში შედგება და ეძახის.

ალ. დომენტი!.. (P) დომენტი!

შემოდის **დომენტი.**

დომ. რას მიბძანებ, ბ-ნო!

ალ. არავის ეკითხივარ?

დომ. არა, ბ-ნო!

ალ. თუ ვინმემ მიკითხოს, ან ჩემთან მოვიდეს, სახლში არა ვარ!.. გაიგე?

დომ. გავიგე, ბ-ნო! ქალბატონი რომ მობძანდეს?

ალ. არც მაშინ.

დომ. მესმის, ბ-ნო!

ალ. წადი, ნახე, რუსია რასა შვრება?

დომ. რუსია თავის ოთახში თუ ბძანდება...

ალ. კარგი, წადი... (ბიჭი გადის. ალ-რე ჩაფიქრებული დგას. ამ დროს სამზარეულოდან მოისმის გადიას ხმა: „წადი, ბიჭო, კარები გაუღე, ქალბატონი და ზურა მოდიან)!..

ბიჭი შემოდის და დერეფანში მიდის. შემოდის **გადია.**

გადია. ვენაცვალე იმათ... იქითკენ რომ მივრბოდი, ჩამსხდარიყვნენ ეტლში და ოთხივე აქეთ მოდიოდნენ...

ალ. ვინ ოთხივე?

გადია. დარო, ზურა, ელენე და გრიშა...

ალ. გრიშამ ფეხი არ შემოსდგას აქა!..

გად. კარგია!.. რაც მოხდა მოხდა... ავადმყოფ ბავშვს მისი ნახვა უნდა, ნურც შენ დაუშლი... რა ვუყოთ! ვაჟკაცი ხარ და უნდა გამაგრდე...

ალ. მაშ მე წავალ სახლიდან! (მიდის).

გადია. ეჰ! ეჰ!.. (მიდის რუსიას ოთახისაკენ) აგერ მოუყვანე ჩემს გვრიტუნიას დედა, ძმა და სულყველა. ვისი ნახვაც იამებოდა. (გადია კარებს მიუახლოვდა. ოთახიდან კვნესა მოესმა, ისე რომ სიტყვა ტუჩებზე შეაშრა. რაღაცას ბუტბუტებს. კარებისაკენ მიდის. კვნესა განმეორდა. დაჩუმდა. მივარდა კარებს. ყოყმანის შემდეგ შევარდა. პაუზა. ისმის საშინელი კივილი, გადია გიჟივით გამოვარდა სცენაზე და იქვე ჩაიკეცა. ალ-რე კაბინეტიდან შეშინებული გამოვარდა და გადიას მისჩერებია. გადია სიტყვას ვერ ამბობს და ხელით ოთახისაკენ ანიშნებს. ალ-რე ოთახში შევიდა, პაუზის შემდეგ ისმის მისი ძლევარე ხმა „რუსია, ეს რა ჰქენ, შე უბედურო)“?..

შემოდიან **დარო**, ბიჭი, **ალექსანდრე.**

ალ. (ხელში ბარათი უჭირავს) ექიმი! ჩქარა, ექიმი! რას გაშტერებულხარ, ბიჭო, ექიმი! (ბიჭი გავარდა).

დარ. (ძლივს ლუღლუღებს) რა... ამბავია?

ალ. შედი... ნახე!..

დარ. (შედის ოთახში, გადია შეჰყვება. ოთახიდან დაროს კვნესა მოისმის, გიჟივით გამოვარდება, ამ დროს შემოდიან გრიშა, ზურა, ელენე და ბიჭი).

დარ. ეგრიშა, მიშველე! რუსია! (გრიშა, ზურა და ელენე ოთახში შედიან).

ალ. (წერილს წაიკითხავს, მივა დაროსთან და თვალებში ჩაჰჩერდება... დარო გაშეშებულია. წერილს მაგიდაზე დასდებს და გატრიალდება ოთახში. ზურა ტირის).

შემოდის **გრიშა.**

(ყველანი მას მიაჩერდებიან).

გრიშა. გათავდა... (ალ-რე სავარძელში ჩაეცემა).

შემოდის **ზურა.**

ზურა. (გაფთრებული მამას მისჩერებია. ოთახში—ტირილია) მამა!?

ალ. (შუა მაგიდაზე მიუთითებს) წაიკითხე!

ზურა. (წერილს აიღებს და კითხულობს დიდ ხანს ვერ გამორკვეულა. ხან დედას უყურებს და ხან გრიშას. ბოლოს დედას მისჩერებია. ცრემლები ახრჩობს. ძლივს ლაპარაკობს). დედა... შენცა!.. შენც!?.. (ვეღარ ლაპარაკობს. ისტერიული ტირილი აუვარდება).

შემოდიან **გადია**, მერე **ელენე.**

გადია. (დაროს ფეხებთან დაეკვემა ტირილით) რა უყავ შენს შვილს? რა უყავ ჩემს რუსიას?

შემოდის **ელენე.**

ელ. (უსიტყვოდ მოეხვევა დაროს და ორივენი სტირიან).

ფ ა რ დ ა.

ვალ. შალიკაშვილი.

ფული უნდათ!

იშოვეს!

შემდეგ...?

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „ზრომა“. რედაქტორი ა. ჭუმბაძე. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.